

ბრძანების პროექტი

თბილისი

№ 292/03

02 ივნისი 2016წ.

თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტში ერთიანი ეროვნული გამოცდების გავლის გარეშე სტუდენტთა ჩარიცხვის შესახებ

“უმაღლესი განათლების შესახებ” საქართველოს კანონის 22-ე მუხლის, 52-ე მუხლის მე-3 პუნქტის, „თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის წესდების“ მე-14 მუხლის შესაბამისად და “აბიტურიენტებისათვის/მაგისტრანტობის კანდიდატებისათვის ერთიანი ეროვნული გამოცდების/საერთო სამაგისტრო გამოცდების გავლის გარეშე უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებში სწავლის უფლების მინიჭების თაობაზე” საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2016 წლის 25 მაისის №427 ბრძანების გათვალისწინებით,

ვბრძანებ:

- I. თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის ფიზიკური მედიცინისა და რეაბილიტაციის ფაკულტეტის, საექთნო საქმის (ბებიაქალი) ქართულენოვან პროგრამაზე ჩარიცხულ იქნეს საქართველოს მოქალაქე- მარიამ ტყემალაძე.
- II. კონტროლი ბრძანების შესრულებაზე და ჩარიცხული სტუდენტის სწავლების კურსის განსაზღვრა დაევალოს ფიზიკური მედიცინისა და რეაბილიტაციის ფაკულტეტის დეკანს ლ. მასხულიას და თსსუ-ის უცხოელ სტუდენტთა განათლების დეპარტამენტის უფროსს დ. თოფურიას.

III. დაევალოს საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურს ბრძანების გამოქვეყნება თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის ოფიციალურ ვებ-გვერდზე.

IV. ბრძანება ეგზავნება ვიცე-რექტორს რ. ბერიაშვილს, ფიზიკური მედიცინისა და რეაბილიტაციის ფაკულტეტის დეკანს ღ. მასხულიას, უცხოელ სტუდენტთა განათლების დეპარტამენტის უფროსს დ. თოფურიას, საერთაშორისო ურთიერთობათა დეპარტამენტის უფროსს დ. დელიბაშვილს, საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურის უფროსს ზ. ტალახაძეს, სასწავლო პროგრამების მართვის, შეფასებისა და სტუდენტთა რეგისტრაციის დეპარტამენტის უფროსს რ. რუხაძეს, ფინანსური რესურსების მართვის და აღრიცხვა-ანგარიშგების დეპარტამენტის უფროსს ნ. მარიაშიძეს, მთავარ ბუღალტერს ი. დოლიძეს.

V. ბრძანება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

პროფესორი ზურაბ ვადაჭკორია

რექტორი